2023 წლის 21 ოქტომბერი

ვისგან: ჯიმ მოლიტერნო, ვინსენტ ბრედფორდის სამართლის სკოლის პროფესორი (ემერიტუსი), სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელის (INJR) წევრი, კონსულტანტი კანონის უზენაესობის საკითხებში

ვის: „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“

თემა: ონლაინ დისკუსია: **ადვოკატის და ადვოკატთა ასოციაციების როლი სასამართლო რეფორმაში** (2023 წლის 11 ოქტომბერი)

შესავალი და პრეისტორია

განსახილველი საკითხი და დისკუსია

დაარსების დღიდან, INJR-ი მართავს ონლაინ დისკუსიებს სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. დღემდე განხილული იქნა მთელი რიგი ქვეყნები, განსაკუთრებული ფოკუსირებით ისეთ იდეებსა და წინადადებებზე სისტემის რეფორმირების შესახებ, როგორიცაა იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება, მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა, იუსტიციის საბჭოს რეგულირების რეფორმის გზამკვლევი. აღნიშნული დისკუსიები დღემდე რჩება შესანიშნავ საშუალებად იდეების გაზიარებისა და დისკუსირებისთვის იმის შესახებ, თუ რა მუშაობს კარგად, რა ვერ და რატომ. შეხვედრებზე უმეტესად აქცენტი კეთდება ისეთ თემებსა და მოსაზრებებზე, რომლებიც შემდგომში ასახვას ჰპოვებს ხოლმე საკანონმდებლო თუ მარეგულირებელ ცვლილებებში.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ამ კონკრეტული შეხვედრის მიზანი სულაც არ იყო დისკუსია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ნაცვლად ამისა, სესიაზე ყურადღება გამახვილდა ადამიანების ერთ კონკრეტულ კატეგორიაზე (იურისტები/ადვოკატები), მათ გაერთიანებებსა და იმ როლზე, რასაც ისინი ასრულებენ სასამართლოს რეფორმირებისა და მოსამართლეთა შერჩევის პროცესში. შესაბამისად, შეხვედრაზე ნაკლები ყურადღება დაეთმო სამართალზე საუბარს და უფრო მეტი ზემოთ აღნიშნული კატეგორიის წარმომადგენელთა ფუნქციებსა და დამოკიდებულებებს, ნაკლებად იქნა განხილული წესები და უფრო მეტად აღნიშნული როლები. ერთ-ერთმა სიტყვით გამომსვლელმა მოახდინა შემდეგი გამონათქვამის ციტირება: „სჯობს გყავდეს კარგი ადვოკატი და გქონდეს ცუდი კანონი, ვიდრე ცუდი ადვოკატი და კარგი კანონი“.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

მომხსენებლებმა ჯგუფს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ, რათა დამსწრეთათვის მიეწოდებინათ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები იმის თაობაზე, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ადვოკატს სასამართლოს რეფორმირების პროცესში.

ადვოკატთა ასოციაციებთან და სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებული გამოცდილება

გამოცდილება ადვოკატთა ასოციაციებთან და სასამართლო რეფორმებთან დაკავშირებით არათანაბარი და ხშირად იმედგამაცრუებულია. ადვოკატთა ასოციაციებს ახასიათებთ წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ და ზოგადად არ ისწრაფვიან რეფორმებისკენ.

ადვოკატთა ასოციაციას ახასიათებს ორმაგი ბუნება. მას ახასიათებს ორი განსხვავებული და საკმაოდ გამორჩეული როლი.

ერთის მხრივ, ადვოკატთა ასოციაცია საჯარო ორგანოა, რომელიც ასრულებს დელეგირებულ უფლებამოსილებებს, (როგორც წესი) პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო აქტის, კერძოდ, ადვოკატთა შესახებ კანონის საფუძველზე. ამ საჯარო როლში, ასოციაციის მისიაა მომსახურების გაწევა. მისი საჯარო მოვალეობა კი ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებული პროცესების მართვაა, რაც ჩვეულებრივ მოიცავს ახალი ადვოკატების მიღებას და არასათანადო ქცევით გამორჩეული ადვოკატების დისციპლინირებას. ამ თვალსაზრისით, ასოციაცია ნერგავს შემდეგ საზოგადოებრივ სიკეთეებს: საზოგადოების დაცვა ცუდი ადვოკატებისგან და ზოგადად მართლმსაჯულების სისტემის ხარისხის გაუმჯობესება.

მეორეს მხრივ, ასოციაციები ხშირად ასრულებენ ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების ფუნქციას, რა დროსაც იურიდიული პროფესიის ან ზოგჯერ ცალკეული იურისტების ინტერესებს სხვა ინტერესებზე მაღლა აყენებენ, თუკი საკითხი პროფესიულ კავშირს ან ასოციაციას შეეხება. ამ როლში, საზოგადოებრივი ინტერესი ნაკლებად ან საერთოდ არ გაითვალისწინება ასოციაციების მიერ. საზოგადოებრივზე მაღლა ადვოკატების ინტერესების დაყენების საკითხი მკაფიოდაა აღწერილი ზოგიერთი ქვეყნის პროფესიული ეთიკის კოდექსში. მაგალითად, კოდექსი შესაძლოა მოითხოვდეს, რომ ადვოკატი, თუკი მას მიმართავს კლიენტი, რომელიც აცხადებს, რომ იგი დაზარალდა რომელიმე ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, ვალდებულია მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას, ნაცვლად კლიენტის სახელით სასამართლოში სარჩელის აღძვრისა ადვოკატის არასათანადო ქმედების გამო.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

როგორც ჩანს, ზოგიერთ CEE-ის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) ქვეყანაში, პროფესიულ კავშირებს კარგად აქვთ ფესვები გადგმული და საფუძვლიანად დომინირებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვა ქვეყნებში კი, არსებობს გარკვეული მერყეობა ამ ორ მახასიათებელს შორის. მაგალითად, ადვოკატთა ასოციაციები მართავენ ან ხელს უწყობენ ან სულ მცირე მონაწილეობენ საპროტესტო გამოსვლებში იმ მოსამართლეთა სახელით, რომლებიც ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიან. მიუხედავად ამისა, ასეთი აქტიური ადვოკატთა ასოციაციებიც კი ზოგჯერ ხანგრძლივ და უცნაურ ძილს მიეცემიან ხოლმე, მაშინაც კი როდესაც სასამართლოში დაუსჯელი კორუფცია ყვავის. ეს არათანმიმდევრული ქცევა შესაძლოა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობის ცვლილებით აიხსნას. შესაბამისად, თუკი ადვოკატთა ასოციაციაში საჯარო სამსახურის მახასიათებელი ჭარბობს, მას შეუძლია მძლავრი იარაღის ფუნქციის შესრულება სასამართლოს რეფორმირების პროცესში, ხოლო როცა პროფკავშირის თვისება მატულობს, ასოციაცია ამჯობინებს სტატუს კვოს და საკუთარი წევრების უსაფრთხოებისადმი მსახურებას.

ცალკეულ ადვოკატებთან და მათ შესაძლო როლებთან დაკავშირებული საკითხები იუსტიციის საბჭოს ან მოსამართლეთა შერჩევის პროცესში

CEE-ის ზოგიერთ ქვეყანაში, ადვოკატები იუსტიციის საბჭოებშიც არიან წარმოდგენილნი. მათი ნომინირების უფლებამოსილება გააჩნია პარლამენტს, პრეზიდენტს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს. არსებობენ ქვეყნები, სადაც არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული ტექნიკური მექანიზმი, რითიც ადვოკატი შეძლებს იუსტიციის საბჭოს წევრობას. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში კანონის თანახმად შესაძლებელია, რომ ადვოკატი გახდეს იუსტიციის საბჭოს წევრი, თუმცა რეალობაში საკმაოდ სერიოზული და პრაქტიკული დაბრკოლებებია შექმნილი ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე. მაგალითად, მაშინ როდესაც კერძო ადვოკატი ვალდებულია უარი თქვას იურიდიულ პრაქტიკაზე იუსტიციის საბჭოში პრო ბონო დანიშვნის სანაცვლოდ, იმ ადვოკატებს, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ფინანსური შემოსავალი ან მდიდარი ოჯახებიდან არიან, უფლება აქვთ დაინიშნონ იუსტიციის საბჭოში.

იუსტიციის საბჭოში ადვოკატის დანიშვნის შესაძლებლობას თან ახლავს რამდენიმე ფაქტორი. პირველი, „იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის“ VI-ე სტანდარტის თანახმად, იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები უფრო მეტ ლეგიტიმაციას მატებენ საბჭოს საქმიანობას, ასრულებენ „სარკის“ ფუნქციას, რომელშიც მოსამართლეებს შეუძლიათ ნათლად დაინახონ სასამართლო სისტემის მდგომარეობა, ასევე ქმნიან „ხიდს სასამართლო ხელისუფლებისა და საზოგადოების შესაკავშირებლად“. ამასთან, რეგულირებადი ჯგუფის წევრობა არ უწესებს შეზღუდვებს არამოსამართლე წევრებს.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

გარდა ამისა, ადვოკატს უფრო მეტი თავისუფლება აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება მოსამართლე კანდიდატების, მოსამართლეთა დისციპლინირების ან ზოგადად სასამართლო ხელისუფლების საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი თავისუფლება მატებს გარე პრესპექტივას იუსტიციის საბჭოს დისკუსიებს.

თუმცაღა, აღნიშნული თავისუფლების მასშტაბი დამოკიდებულია ადვოკატის ცხოვრებაზე იუსტიციის საბჭოს მიღმა. ადვოკატს, რომელიც ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას და არ ეწევა აქტიურ სასამართლო პრაქტიკას, შესაძლოა უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდეს, ვიდრე იმ ადვოკატს, რომლის საარსებო წყაროც სასამართლოში მოსამართლის წინაშე წარდგომასთანაა დაკავშირებული. ამ უკანასკნელს შესაძლოა ჰქონდეს შიში, რომ არ გაანაწყენოს ზოგადად მოსამართლეები ან რომელიმე კონკრეტული მოსამართლე, რომლის წინაშეც სავარაუდოდ ადვოკატს მუშაობა მოუწევს. ამის საპირისპიროდ, არასამთავრობო ორგანიზაციებზე ფოკუსირებულ ადვოკატებს საერთოდ არ აქვთ მოსამართლის მხრიდან ანგარიშსწორების შიში. ასევე, სასამართლოში რეგულარულად მომუშავე და მტკიცე ხასიათით გამორჩეულ ადვოკატებს შესწევთ უნარი გააჟღერონ გარე პერსპექტივები, გაუმკლავდნენ ნებისმიერი სახის შურისძიებას მოსამართლეთა მხრიდან და შეხედონ ამ ყველაფერს როგორც საზღაურს გაწეული მნიშვნელოვანი საჯარო სამსახურისთვის.

გარდა ამისა, სასამართლოსთან პროფესიული პრაქტიკით დაკავშირებულ ადვოკატს გააჩნია უპირატესობა იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრებთან შედარებით. თუმცა არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამგვარი ადვოკატები არ იცნობენ სასამართლოში არსებულ პროცედურებს ან მიმდინარე მოვლენებს. ასე, მაგალითად, როდესაც რომელიმე მოსამართლის ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა, სასამართლოს პრაქტიკოს ადვოკატს შეუძლია უფრო სარწმუნოდ, ვიდრე სხვა პირს, მათ შორის მოსამართლეს, განაცხადოს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მოსამართლის ასეთი უხეში გადაცდომა მხარეზე, ვინაიდან ადვოკატი პირადად ურთიერთობს კლიენტებთან კონკრეტულ სიტუაციებში, რასაც არც მოსამართლე, არც მკვლევარები და არც არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტები ვერ აკეთებენ.

ამ მიზეზების გამო, რეკომენდირებულია კერძო ადვოკატებს მიეცეთ უფლება და გამარტივებდეს მათი წევრობა იუსტიციის საბჭოებსა და მოსამართლეთა შესარჩევ კომისიებში.

2023 წლის 11 ოქტომბრის დისკუსიის მთავარი შედეგები

ზემოთ აღნიშნული საკითხები განხილული იქნა სამი მომხსენებლის მიერ, რომლებსაც განსხვავებული, თუმცა მაინც მსგავსი გამოცდილება აკავშირებთ,

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

ხოლო მონაწილეებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და კითხვები დაუსვეს მომხსენებლებს. სამივე გამომსვლელი წარმოადგენს სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული ადვოკატების რამდენიმე კომბინაციას: სამივე მათგანი კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატია, რომლებიც ან იუსტიციის საბჭოს წევრები არიან ან ხელმძღვანელობენ მართლმსაჯულების რეფორმაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, არიან მოსამართლეთა შესარჩევი კომისიის წევრები, შეტანილი აქვთ საკუთარი ექსპერტული წვლილი ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაში და უმუშავიათ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სამსახურებში (მაგ. აშშ-ს საელჩო ბრატისლავაში). მომხსენებლები იყვნენ:

- **ვიტესლავ დოჰნალი,** ადვოკატი ჩეხეთიდან. მან დააფუძნა და უკვე 25 წელზე მეტია ხელმძღვანელობს კანონმდებლობის რეფორმაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს,
- **ანდრეი მაჟერნიკი,** ადვოკატი სლოვაკეთიდან. იგი სლოვაკეთის იუსტიციის საბჭოსა და მოსამართლეთა შესარჩევი კომისიის წევრია, ასევე აქტიურადაა ჩართული სლოვაკეთის არასამთავრობო ორგანიზაციის „Via Iuris"-ის საქმიანობაში,
- **პავოლ ზილინჩიკი,** რეფორმატორი. მას აქვს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება სლოვაკეთსა და ჩეხეთში; მისი დაარსებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „Via Iuris", იგი მუშაობდა სასამართლო რეფორმის საკითხებზე აშშ-ს საელჩოში (ბრატისლავა), ასევე ჩეხეთისა და სლოვაკეთის სახალხო დამცველების ოფისებთან; იყო სლოვაკეთის იუსტიციის საბჭოს წევრი და დღემდე აგრძელებს მოსამართლეთა შესარჩევ კომისიაში მუშაობას; კითხულობს ეთიკის კურსს მოსამართლეებისთვის სლოვაკეთის იურიდიულ აკადემიაში.

დისკუსიას უძღვებოდა ჯიმ მოლიტერნო, ექსპერტი აშშ-დან. ბ-ნი მოლიტერნო არის მკვლევარი, პროფესორი იურიდიული და სასამართლოს პროფესიული ეთიკის საკითხებში, ფლობს მნიშვნელოვან გამოცდილებას სასამართლო, საადვოკატო და საპროკურორო ეთიკის რეფორმების კუთხით CEE-ის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, სლოვაკეთსა და ჩეხეთში. პრეზენტაციის დასაწყისში, მან გააკეთა მოკლე შესავალი და ისაუბრა ადვოკატთა ასოციაციის არსის შესახებ.

ვიტესლავ დოჰნალი

ვიტესლავმა საკუთარი საადვოკატო საქმიანობა დაახასიათა როგორც „აქტიური მოქალაქეობა", თუმცა აღნიშნა, რომ ოპონენტები ზოგჯერ სიტყვა „ექსტრემისტს" იყენებდნენ მისი ძალისხმევის აღსაწერად ადამიანის უფლებების/პროფესიული ეთიკის რეფორმირების პროცესში.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის" და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის" **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

ნაცვლად მოსამართლეებზე ფოკუსირებისა, ვიტესლავი დიდ ყურადღებას უთმობს ადვოკატებს, განსაკუთრებით კი დამწყებ ადვოკატებს, ასევე სამართლის სტუდენტებს. იგი იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას, რათა მომავალ ადვოკატებსა და სტუდენტებში აამაღლოს ცნობიერება ადამიანის უფლებების შესახებ და გააუმჯობესოს მათი უნარები ამ მიმართულებით. იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ვიტესლავი აორგანიზებს ტრენინგებს ეთიკის, ისევე როგორც ადამიანის უფლებების საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე სემინარებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხების შესახებ.

მან დაასახელა რამდენიმე პრინციპი, რომლითაც ის ხელმძღვანელობს თავის პროფესიულ საქმიანობაში.

- წაახალისეთ ტრენინგების მონაწილეები, რათა მათ მოირგონ ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლის როლი. ეს შეიძლება განხორციელდეს უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით ან უშუალოდ მსხვერპლთა მოწვევით, რათა მათ ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე (ის ყველა ტრენინგზე მიმართავს ამ ხერხს), ან ექსპერიმენტული ტექნიკების გამოყენებით (რეალური ისტორიების და მაგალითების გამოყენება მონაწილეთა ინტერესის გასაღვივებლად).
- იმუშავეთ ახალგაზრდებთან/პროფესიონალებთან. ჯიმ მოლიტერნომ აღნიშნა, რომ ვიტესლავის საქმიანობა სწორედ ამ ფორმით გამოიხატება სასამართლოს რეფორმის პროცესში: ზოგიერთი დამწყები სპეციალისტი მომავალში სავარაუდოდ გახდება მოსამართლე ან გავლენიანი იურისტი, შესაბამისად, ახალგაზრდების აზროვნების ფორმირებაზე მუშაობა აუცილებელია მოსამართლეთა საჯარო სამსახურის და სასამართლოს მისიის მიმართ ადამიანების დამოკიდებულების შესაცვლელად.
- შეიძინეთ ახალი მეგობრები; ნებისმიერ ღონისძიებაზე, გაიცანით ისეთი ადამიანები, რომლებიც დაგეხმარებიან თქვენი ძალისხმევის ხელშეწყობაში, ითანამშრომლეთ მათთან ან იმ ადამიანებთან, რომლებსაც ისინი გაგაცნობენ.

აღინიშნა, რომ ზემოთ დასახელებული პრინციპები შესაძლებელია ეფექტური აღმოჩნდეს სასამართლოს ეთიკის რეფორმაზე მუშაობისას.

ანდრეი მაჟერნიკი

იმისთვის, რომ მონაწილეებისთვის წარმოდგენა შეექმნა არსებული კონტექსტის შესახებ, ანდრეის გარკვეული დრო დასჭირდა სლოვაკეთის იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილებებსა და მოვალეობებზე სასაუბროდ. მან მაგალითისთვის დაასახელა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მისი, როგორც კერძო ადვოკატის

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

წვლილი, აღმოჩნდა ძალზედ მნიშვნელოვანი და უნიკალური. მაგალითად, მოსამართლეთა შერჩევის/დაწინაურების პროცედურის მიმდინარეობისას გამართული გასაუბრების დროს, ერთმა მოსამართლეობის კანდიდატმა აღიარა, რომ ის ზოგჯერ ხმას უწევს მხარის მისამართით სასამართლო პროცესის დროს. როდესაც შესარჩევი კომისიის აკადემიური წევრი დაინტერესდა მუშაობდა თუ არა კანდიდატი ამ ასპექტის გამოსწორებაზე, მოსამართლემ გააკრიტიკა აკადემიური წევრი იმის გამო, რომ მან ვერ ამოიკითხა იმის საჭიროება, რომ სასამართლო პროცესის დროს ზოგჯერ მოსამართლეს უწევს ხმის აწევა, რათა აკონტროლოს ადვოკატები ან მხარეები. ანდრეიმ გაიხსენა თავისი გამოცდილება და დაამატა, რომ მოსამართლის ასეთმა გამოხტომებმა, თუკი არ იქნება გაკონტოლებული და აბსოლუტურად აუცილებელი, შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს მხარეებს და მათ ნდობას, რომ მოსამართლე ნამდვილად მიიღებს კარგად ნაფიქრ გადაწყვეტილებას. ანდრეის შენიშვნის, ისევე როგორც აკადემიური წევრის, შეხედულების უარყოფა დაუშვებელი იყო, რადგან ეს შეკითხვა წევრს გაუჩნდა კლიენტებთან ურთიერთობის და სასამართლო სხდომებზე მიღებული რეალური გამოცდილებიდან გამომდინარე.

მან ასევე ისაუბრა "მოსამართლეთა-კლუბის" მიღმა არსებულ პერსპექტივებზე. როგორც გარეშე პირი, იგი არ ემხრობა მოსამართლეთა მხრიდან „საკუთარი თავის დაცვის“ მიდგომას, როდესაც საქმე რომელიმე კოლეგას ეხება. ანდრეის თქმით, მან სავარაუდოდ მტრები შეიძინა რამდენიმე მოსამართლის სახით, რამაც შესაძლოა მომავალში გავლენა მოახდინოს მის სამოსამართლეო პრაქტიკაზე. ანდრეიმ ასევე აღნიშნა, რომ მან შეამჩნია თუ როგორ ცდილობდნენ იუსტიციის საბჭოს ან შესარჩევი კომისიის სხვა ადვოკატები მოსამართლეთა კეთილგანწყობის მოპოვებას ან თავის შეკავებას მოსამართლეთა შესახებ უარყოფითი კომენტარების გაჟღერებისგან. როდესაც ამგვარი რამ ხდება, კერძო ადვოკატის ყოფნა საბჭოში რეალურად უარყოფითად აისახება სასამართლოს რეფორმასა და ჯანსაღი შესარჩევი პროცესის განხორციელებაზე.

ანდრეის ჰკითხეს, სურთ თუ არა ადვოკატებს მოსამართლეობა (განსხვავებით იუსტიციის საბჭოს იმ წევრებისგან, რომლებზეც მან უკვე ისაუბრა). მისი თქმით, უმეტესწილად ადვოკატებს არ სურთ გახდნენ მოსამართლეები, თუმცა გამონაკლისის სახით დაასახელა სლოვაკეთში ახალი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს დაკომპლექტების ახლახან დასრულებული პროცესი, რომელშიც რამდენიმე ადვოკატმა წარმატებით გაიარა პროცედურა.

პავოლ ზილინჩიკი

პავოლმა ისაუბრა თავის გამოცდილებაზე, როდესაც ის ადვოკატის რანგში იყო წარმოდგენილი სლოვაკეთის იუსტიციის საბჭოში, ასევე აღწერა მის მიერ

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

შესრულებული სხვადასხვა სამუშაო აშშ-ს საელჩოსა და ომბუდსმენის ოფისებში. ამის შემდეგ კი, დისკუსიის მონაწილეებს დაუსვა შეკითხვები, რომლებიც მისი აზრით, დისკუსიას გამოიწვევდა.

ადვოკატის როლზე საუბრისას, მან გაიმეორა ანდრეის რამდენიმე რეპლიკა, თუმცა აღნიშნა (და ანდრეიც დაეთანხმა), რომ მისი, როგორც კარიერის რეფორმატორის პოზიცია, განსხვავებით ადვოკატის როლისგან, რომელიც კერძო პრაქტიკას ეწევა სარჩოს საშოვნელად, მას უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მოსამართლეთა საქმიანობა ან საბჭოს ფუნქციონირების მარეგულირებელი პროცედურა.

მისი თქმით, კარგი იქნება, თუკი თავს შევიკავებთ ფიქრისგან ორობითი ტერმინების გამოყენებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იუსტიციის საბჭოს (ან შესარჩევი კომისიის) წევრები არ არიან ორი დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლები. არამედ, მისი დაკვირვებით, თუკი იგი გააგრძელებს დაჟინებით არგუმენტების დასახელებას საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, იგი შეძლებს, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, იმ მოსამართლეების გადარწმუნებას და დათანხმებასაც კი, რომლებიც როგორც წესი „მტრებად“ ან „მეორე მხარედ“ მოიაზრებიან. შესაბამისად, ნაცვლად იმაზე ფიქრისა, რომ არსებობს ორი ბანაკი, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია სწორი არგუმენტების მოყვანა და მცდელობა იმისა, რომ დავარწმუნოთ ყველა ის, ვისი დარწმუნებაც შესაძლებელია. ამასთან, მან არაერთხელ მოახდინა „იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის“ სტანდარტების კონკრეტული ასპექტების ციტირება საკუთარ არგუმენტებზე საუბრისას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც განმარტავდა არამოსამართლე წევრების როლსა და მნიშვნელობას.

მან ასევე გაიხსენა ერთი სატირული ჩანახატი, რომელზეც გამოსახულია იურიდიული ფაკულტეტის ახლადკურსდამთავრებული იურისტი, რომელსაც ეუბნებიან, რომ მისი კვალიფიკაცია საუკეთესო საშუალებაა ადამიანების გასაძარცვად. აღნიშნული სატირის გამოქვეყნების შემდეგ, სლოვაკეთის ადვოკატთა ასოციაციამ ძალიან მძაფრი რეაგირება მოახდინა და კარიკატურისტის ნამუშევარი დაგმო. პავოლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემა ყველაზე ბნელი და კორუმპირებული ცხოვრებით ცხოვრობდა დაახლოებით 10-15 წლის წინ, ადვოკატთა ასოციაციამ მაინც გაჩუმება ამჯობინა. როგორც ჩანს, ამ ადვოკატთა ასოციაციას არ ადარდებს გამეფებული სასამართლო კორუფცია, თუმცა მომენტალურად ცხარდება, თუკი მის წევრებს ბრალს დასდებენ რაიმე გადაცდენაში. ეს ამბავი მაგალითია იმ ადვოკატთა ასოციაციებისა, რომლებსაც ორმაგი ბუნება ახასიათებთ. ისინი ხშირად მოქმედებენ როგორც პროფესიული გაერთიანებები ადვოკატებისა და

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

ადვოკატის პროფესიის დასაცავად, თუმცა იშვიათად ცდილობენ საზოგადოების ინტერესების დაცვას სასამართლოში ფესვგადგმული კორუფციისგან.

დასასრულს, პავოლმა იკითხა, თუ რამდენად გონივრულია გვქონდეს მოლოდინი, რომ ადვოკატთა ასოციაცია იზრუნებს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული კორუფციის აღმოფხვრაზე. მონაწილეებმა (და კითხვის ავტორმა თავად) პასუხად აღნიშნეს, რომ გონივრულია, ხოლო თუკი შევძლებთ ადვოკატთა ასოციაციების მოტივირებას, რომ მათ პრიორიტეტად აქციონ საჯარო სამსახურის „მახასიათებელი“, მაშინ წესით უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ადვოკატთა ასოციაციები გამოიყენებენ საკუთარ ძალას ისეთი ზეწოლის მოსახდენად, რომელიც სასამართლო რეფორმის საწინდარი გახდება.

რეკომენდაციები შემდგომი ღონისძიებების შესახებ

1. ჩაატარეთ გამოკითხვა, რათა სიღრმისეულად შეისწავლოთ სად და რა ვითარებაში ხდებიან/შეიძლება გახდნენ ადვოკატები იუსტიციის საბჭოს ან მოსამართლეთა შესარჩევი კომისიის წევრები.
2. შეიმუშავეთ საუკეთესო პრაქტიკის დოკუმენტი ზემოაღნიშნული როლის შემსრულებელი ადვოკატებისათვის.
3. დააკავშირეთ ერთმანეთს საზღვარგარეთ მცხოვრები ზემოაღნიშნული როლის შემსრულებელი ადვოკატები ჩვენს ან თავიანთ სადისკუსიო ჯგუფებში.
4. შეისწავლეთ CEE-ის ადვოკატთა ასოციაციები სასამართლო რეფორმების ფარგლებში მათ მიერ რეალურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად (ბოლო ათი წლის განმავლობაში? 1990 წლიდან დღემდე? პოსტკომუნისტური ხანის ადვოკატთა ასოციაციების დაარსებიდან დღემდე?) და გამოაქვეყნეთ შედეგები.
5. გააცანით ერთმანეთს CEE-ის ადვოკატთა ასოციაციების ხელმძღვანელი პირები CCBE-ს ქვეჯგუფში.
6. შესთავაზეთ ადვოკატთა ასოციაციებს ტრენინგები მათი საჯარო როლის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ჯიმ მოლიტერნოს მიერ „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისთვის“ და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“ **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით,** რომელიც დაფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ**. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ არის აუცილებელი ასახავდეს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.